საქართველოს სახალხო დაცველი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 40

1 მარტი, 2019 წელი
ქ. თბილისი

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-3[1] მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, "პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 12 დეკემბრის #243 ბრძანებით დამტკიცებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის 26 დეკემბრის N354 ბრძანება „პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

II. დამტკიცდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს მოწვეული წევრების შემდეგი შემადგენლობა:

1. ცირა ჭანტურია - ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, რეგიონული დირექტორი;
2. ნინო გობრონიძე - ევროპის საბჭოს პროექტი დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში, პროექტის უფროსი ოფიცერი;
3. ნინო მახაშვილი - გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (თბილისი), ხელმძღვანელი;
4. იაგო კაჭკაჭიშვილი - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციოლოგი.
5. ბესარიონ ბოხაშვილი - ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR), პროგრამის ოფიცერი;
6. ნონა ქურდოვანიძე - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), თავჯდომარის მოადგილე;

III. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

IV. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12კმ, #6), მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი